



# შირაკი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (10.086)

26 აგვისტო - 2 სექტემბერი 2023 წელი  
ფასი: 60 თეთრი  
ყოველკვირული გამოცემა

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბრკელდება

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განასჯელი რეგიონების“ ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ დედოფლისწყაროს რეაბილიტაცია. თითქმის დასრულდა მრავალზონიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების სრული რეაბილიტაცია. მოწყობილია დედოფლისწყაროს ცენტრალური მოედანი, დაიგო გზის ახალი საფარი, აღდგა ქალაქის ცენტრში შადრევანი და გოლო შტრიხებიც დაარსდა.

დედოფლისწყაროს შემოსასვლელში დაიწყო სარეკრეაციო სივრცის მშენებლობა, სადაც პროექტის ფარგლებში, 16 ჰექტარზე მოხდება პარკის სრული რეაბილიტაცია. 12 000 კვადრატულ მეტრზე განთავსდება საფეხმავლო და ველობილიკები, საბავშვო მოედნები და გასართობი ატრაქციონები. პროექტის ჯამური ღირებულება 17 მილიონი ლარია.

„დედოფლისწყარო განვითარების ახალ საფეხურზე გადადის და ამის ერთ-ერთი მაგალითია დედოფლისწყაროს შესასვლელში ცენტრალური პარკის მშენებლობა, რომელიც ტურიზმის განვითარების პოტენციალს გაცილებით მაღალ საფეხურზე აიყვანს. ახალი მიზიდულობის კერა გახდება ტურისტებისთვის, ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივ ფერმერებსა თუ წვრილ მწარმოებებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაში“ - აცხადებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშიაძე.



**გილოცავთ მარიაპოლის დღესასწაულს!**



„კონსტიტუციის დღე ერთიანობის მომენტია“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი მოქალაქეებს კონსტიტუციის დღეს ულოცავს.

როგორც პრემიერის განცხადებაშია აღნიშნული, ეს დღე ერთიანობის მომენტია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთო გადაწყვეტილებას ნათელი მომავლის - ერთიანი, მშვიდობიანი, ძლიერი, განვითარებული საქართველოს ასაშენებლად.

„გილოცავთ კონსტიტუციის დღეს!“

24 აგვისტო ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის უმნიშვნელოვანესი თარიღია. დღევანდელ დღეს, 1995 წელს დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტმა ქვეყნის უზენაესი კანონის მიღებით სათავე დაუდო ჩვენი ისტორიის ახალ ეტაპს - სამოქალაქო ერთიანობაზე, კანონის უზენაესობაზე, თავისუფლების, დემოკრატიის, მშვიდობისა და განვითარების იდეალებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობას.

საქართველოს კონსტიტუცია - ჩვენი ხელშეკრულება ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან - დიდი ისტორიისა და კულტურის განმსაზღვრელ ფასეულობებს ეფუძნება. ამავდროულად, ის ახალ მიზნებსა და ამოცანებს ასახავს თანამედროვე ეპოქაში ქვეყნისა და ხალხის წინსვლა-განვითარებისათვის.

ეს დღე ერთიანობის მომენტია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს საერთო გადაწყვეტილებას ნათელი მომავლის - ერთიანი, მშვიდობიანი, ძლიერი, განვითარებული საქართველოს ასაშენებლად, - აღნიშნულია ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებაში.

სეს-მა სორცის მწარმოებლებსა და რეალიზატორებს ახალი რეგულაციები გააცნო

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მხარდაჭერით, სორცის მწარმოებელ და რეალიზატორ ბიზნესოპერატორებთან სამუშაო შეხვედრებს მართავენ. შეხვედრებზე ბიზნესექტორის წარმომადგენლები სურსათის უვნებლობის მიმართულ არსებულ კანონმდებლობასა და ახალ რეგულაციებს ეცნობიან.

„საინფორმაციო შეხვედრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დასაქმებულ ბიზნესოპერატორებთან დაბა სტეფანწმინდაში გაიმართა. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ბიზნესოპერატორებს მიაწოდეს ინფორმაცია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP), სორცის ეტიკეტირების, შენახვისა და რეალიზაციის წესების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სურსათის უვნებლობის სფეროში არსებულ და დაგეგმილ რეგულაციებზე.

წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია თემაზე „თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან და იმპორტის მოთხოვნები ევროკავშირში“.

2023 წელს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მხარდაჭერით და სურსათის ეროვნული სააგენტოს ჩართულობით, 14 შეხვედრა გაიმართა საქართველოს 6 რეგიონში, რომლებსაც 200-ზე მეტი ბიზნესოპერატორი დაესწრო.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV-ის ფარგლებში“ თანდაფინანსებულია შვედეთის საელჩოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა (CzDA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ, - აღნიშნულია სეს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საპენსიო დანაზოგების პორტფელის შეცვლამდე ორი კვირა დარჩა

საპენსიო დანაზოგების პორტფელის შეცვლამდე ორი კვირა დარჩა. სისტემაში ჩართულ მოქალაქეებს პორტფელის ცვლილება 7 სექტემბრამდე რამდენიმე გზით შეუძლიათ. კერძოდ: პირადი ელექტრონული გვერდიდან - my.pensions.ge; ასევე შესაძლებელია მონაწილემ არჩევანი იუსტიციის სახლებიდან, ან საპენსიო სააგენტოს ოფისიდან განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ მონაწილეს საინვესტიციო პორტფელზე ხელახალი არჩევანის გაკეთება 12 თვის გასვლის შემდეგ ისევ შეეძლება. ამას 2018 წელს მიღებული კანონი ითვალისწინებს.

ხოლო ის მოქალაქეები, რომლებიც წელს, 7 სექტემბრამდე თავად არ აირჩივეს სასურველ პორტფელს, ავტომატურად გადანაწილდებიან სხვადასხვა პორტფელში, ასაკის შესაბამისად. კერძოდ, განეწივებიან მომენტისთვის:

- 40 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივები გადანაწილდება მზარდ (მაღალრისკიან) საინვესტიციო პორტფელში;
- 40 წლიდან 50 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივები - შერეულ (საშუალორისკიან) საინვესტიციო პორტფელში;
- ხოლო 50 ან 50-ზე მეტი წლის მონაწილის საპენსიო აქტივები - სტაბილურ (ნაკლებად რისკიან) საინვესტიციო პორტფელში.

შეგახსენებთ, საპენსიო რეფორმის ამოქმედების შემდეგ, 5 წლის მანძილზე საპენსიო დანაზოგების ინვესტირება მხოლოდ ნაკლებრისკიან საინვესტიციო პორტფელში იყო შესაძლებელი. ახლა სქემას დაემატა მაღალრისკიანი და საშუალორისკიანი ინვესტირების შესაძლებლობები.

საპენსიო სააგენტოს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი გოგა მელიქიძე ამბობს, რომ ამ ეტაპზე 4 000-მდე ადამიანს აქვს გადაწყვეტილება მიღებული საპენსიო დანაზოგის საინვესტიციო პორტფელის ცვლილებაზე.

„სტატისტიკა ყოველდღიურად იცვლება, თუმცა მაღალი მომართვიანობა არ არის. ამ ეტაპზე 4 ათას ადამიანამდეა და მომართვიანობა საკმაოდ მცირეა. პორტფელში გადანაწილება, რასაც კანონი ითვალისწინებს, საკმაოდ ოპტიმალურია. მონაწილეებიც ხვდებიან, რომ პორტფელში გადანაწილება ასაკობრივი ზღვრის მიხედვით სწორია“, - ამბობს მელიქიძე.

კითხვაზე - რას უკავშირებს სააგენტო დაბალ აქტივობას, მელიქიძე პასუხობს, რომ მონაწილეებს ესმით, რატომ გადანაწილეს ასაკის მიხედვით, იზიარებენ ამ პოლიტიკას და ეთანხმებიან მას.

„დაბალი მომართვიანობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ხალხი ინფორმირებული არ არის, არამედ იმას, რომ სწორად არის პორტფელში გადანაწილებული და მონაწილეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ხდება ეს. კანონი ამბობს, რომ მონაწილეების საუკეთესო ინტერესები რომ იყოს დაცული, იმ მონაწილეს, რომელიც 40 წლამდე სასურველია პორტფელში ჰქონდეს ბევრი აქცია, რადგან ისინი ყველაზე კარგი ზრდის მომტანია, ხოლო ის მონაწილე, რომელიც ახლოსაა საპენსიო ასაკთან, სასურველია, ნაკლები აქცია ჰქონდეს პორტფელში, რომ მაღალი რისკი არ ატაროს“, - ამბობს გოგა მელიქიძე და დასძენს, რომ როცა ადამიანს აქვს გრძელვადიანი საინვესტიციო დრო, სასურველია იყიდოს გრძელვადიანი აქტივები და ის გრძელვადიან სარგებელს მოიტანს.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „ნიკორა ტრეიდის“ მზაკერძების წარმოებას საწარმოო პროცესი შეუჩერა!

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან და თბილისის გადაამდე დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრიდან მიიღო 2 შეტყობინება 8 ადამიანის საკვებისმიერი ინტოქსიკაციის შესახებ, რომელთაც საღმონელოში დაუდასტურდათ.

ეპიდემიოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ ორივე შემთხვევაში პაციენტებმა საკვებად მიიღეს ს.ს. „ნიკორა ტრეიდის“ სასურსათო მაღაზიებში შეძენილი „კოტლეტი კიევეური“.

შეტყობინებების მიღებისთანავე, სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა განახორციელეს ინსპექტირება „ნიკორა ტრეიდის“ სასურსათო მარკეტებში (ს/კ 206255808) მისამართებზე: თბილისი აღმაშენებლის ხეივანი N62/495; თბილისი, ხომლელის ქუჩა და აეროდრომის დასახ. მე-7 ქუჩას შორის, ასევე, მიკვლევადობით დადგინდა სს „ნიკორა ტრეიდის“ მზაკერძების წარმოებაში (აღმაშენებლის ხეივანი 1.6 კმ), საიდანაც ორივე მარკეტი „კოტლეტი კიევეური“ მარაგდებოდა. სააგენტოს ინსპექტორებმა ლაბორატორიული კვლევისთვის აიღეს სურსათის ნიმუშები, რომლებშიც პათოგენური მიკროორგანიზმი საღმონელო აღმოჩნდა. შედეგად, სს „ნიკორა ტრეიდის“ მზაკერძების წარმოება დაჯარიმდა და, კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე, საწარმოო პროცესი შეუჩერდა. ამოღებულია და შესაბამისი წესების დაცვით განადგურდება პათოგენით დაბინძურებული 20 კგ ქათმის ფილე, 100 კგ სხვადასხვა სახეობის სურსათისა და 22 კგ „კოტლეტი კიევეურის“ ფარში, სადაც გამოყენებული იყო აღნიშნული ქათმის ფილე. მიკვლევადობის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლს ნედლეულის იმპორტიორ კომპანიაშიც განახორციელებს.

„ნიკორა ტრეიდის“ მზაკერძების მცირე ზომის

საწარმოს პროცესის შეჩერების მიზეზი კომპანია „ჯეო დისტრიბუციის“ ქათმის ფილე „გრაკო“ გახდა, - ამის შესახებ ინფორმაციას „ნიკორა ტრეიდი“ ავრცელებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ აქტიურად თანამშრომლობენ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ყველა მათი რეკომენდაციის ზედმიწევნით შესრულებულის მიზნით.

„სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მოგემართა რამოდენიმე ადამიანის საკვებისმიერი ინტოქსიკაციის ფაქტთან დაკავშირებით. როგორც გაირკვა ყველა მათგანმა საკვებად მიიღო „კოტლეტი კიევეური“. ინფორმაციის მიღებისთანავე ჩვენი მხრიდან მყისიერად მოხდა სააგენტოს ყველა მითითების შესრულება, მათთან აქტიური თანამშრომლობით გამოვავლინეთ, სად იყო მიზეზი და მივაკვლიეთ ქათმის ფილე „გრაკოს“, რომელიც გამოიყენებოდა კოტლეტის წარმოებაში, ხოლო ამ უკანასკნელით გვამარაგებდა კომპანია „ჯეო დისტრიბუცია“. რა თქმა უნდა, ვაცნობთ აღნიშნულ კომპანიას მომხდარის შესახებ და უმალვე მოვხსენით ის კონკრეტული პარტია მოხმარებიდან.

ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ მზაკერძების საწარმოს მცირე ზომიდან გამომდინარე, ამ პროდუქტით მომარაგება სულ რამდენიმე ფილიალში ხდებოდა და საბედნიეროდ მასშტაბი პრობლემის განვრცობის ძალიან მცირეა.

ვსუხვავთ აღნიშნული ფაქტის გამო და ამ ეტაპზეც აქტიურად ვთანამშრომლობთ სააგენტოსთან ყველა მათი რეკომენდაციის ზედმიწევნით შესრულებულის მიზნით“, - აღნიშნულია „ნიკორა ტრეიდის“ განცხადებაში.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „ნიკორა ტრეიდის“ მზაკერძების წარმოებას საწარმოო პროცესი შეუჩერა.

სამოვრების იჯარით ალუბის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეირჩა და გამოქვეყნდა მეცხრე ეტაპზე იჯარით გასაცემი საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მონაცემები.

საძოვრების იჯარით ალუბის მსურველთა განაცხადების მიღება 24 აგვისტოს დაიწყო და 29 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

გამოქვეყნებულია კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის და გურიის რეგიონების 208 ერთეული საძოვრის მო-

ნაცემები. მათ შორის, დედოფლისწყარო - 41, საგარეჯო - 9, თელავი - 3, სიღნაღი - 6, ყვარელი - 5, ახმეტა - 4, ლაგოდეხი - 5, ასპინძა - 5, ახალციხე - 2, ნინოწმინდა - 23, ბორჯომი - 18, ახალქალაქი - 1, დმანისი - 34, თეთრიწყარო - 2, ნალკა - 2, მარნეული - 6, მცხეთა - 1, დუშეთი - 1, გორი - 4, კასპი - 1, ქარელი - 2, წყალტუბო - 13, ბაღდათი - 1, ვანი - 6, ზესტაფონი - 1, ჭიათურა - 2, სენაკი - 2, ნალეჯიხა - 1, ხობი - 2, ონი - 2, ლანჩხუთი - 3.

2022 წლის 28 მარტიდან სააგენტომ შეარჩია და რვა ეტაპად გამოაქვეყნა აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრების მონაცემები. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 ივნისის N1148 და

2023 წლის 15 აგვისტოს N1481 განკარგულებებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების პირდაპირი წესით გადაცემის გზით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობა გაიცა 87 მიწის ნაკვეთზე (7180 ჰა), ხოლო აუქციონის წესით იჯარით 48 საძოვარი (6667 ჰა) გაიცა.

საძოვრების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე (www.land.gov.ge www.mepa.gov.ge), ასევე სააგენტოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

# რთველის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა

24 აგვისტოს თელავში რთველი 2023-ის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა. შტაბის გახსნას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატები გელა სამხარაული და ირაკლი ქადაგიშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მუხუზაძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„გაიხსნა რთველის საკოორდინაციო შტაბი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს რთველის პროცესს; ყველა წინაპირობა შექმნილია, რომ რთველი ჩატარდეს წარმატებულად. საზღვარსა და ალინიშნოს, რომ უპრეცედენტოა ის მხარდაჭერა, რომელიც მევენახეებსა და მეღვინეებს აქვთ სახელმწიფოს მხრიდან ბოლო წლების განმავლობაში; ჩვენ ვეხმარებით მათ როგორც სუბსიდირების, ისე დაზღვევის თანადაფინანსების კუთხით, რომელიც მიმდინარე წელს 50%-დან 70%-მდე გაიზარდა. მოვუწოდებ მევენახეებს უფრო მეტი აქტიურობისკენ ამ მიმართულებით. დარგისადმი მხარდაჭერა ასევე გამოხატულია აგროკრედიტის და მარკეტინგული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამებით. სახელმწიფო, დაახლოებით, 15 მლნ ლარს ხარჯავს ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის საერთაშორისო პრიორიტეტულ ბაზრებზე; ვებმარეტი მენარმეებს მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებაში, რის შედეგადაც, ქართული ღვინის ექსპორტი ყოველწლიურად მზარდია. მხო-

ლოდ გასულ წელს 103 მლნ ლიტრის ექსპორტი განხორციელდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

მთავრობის გადამწყვეტილებით, მიმდინარე წელს, რთველი 2023-ის ფარგლებში, სახელმწიფო რქანიტელისა და კახური მწვანის ჯიშების ყურძნის სუბსიდირებას განახორციელებს.

აღნიშნული გადამწყვეტილება, 25 ათასამდე მევენახე ფერმერს და 500-მდე ღვინის მწარმოებელს საქმიანობის გაგრძელების მოტივაციას და განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

„ყველა წინაპირობა შექმნილია, რომ რთველი ჩატარდეს წარმატებულად. საზღვარსა და ალინიშნოს, რომ უპრეცედენტოა ის მხარდაჭერა, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში, მევენახეებსა და მეღვინეებს აქვთ სახელმწიფოს მხრიდან. 25 ათასამდე მევენახე ფერმერს და 500-მდე ღვინის მწარმოებელს სახელმწიფო საქმიანობის გაგრძელების მოტივაციას და განვითარების შესაძლებლობას აძლევს“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგია.

სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც შეიძენს და გადამამუშავებს კახეთის რეგიონში მონეულ არანაკლებ 100 ტონა რქანიტელის და/ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს. ამასთან, შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ, ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 90 თეთრს. კახეთის რეგიონში მევენახის მიერ მონეული ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე გასაცე-



მი სუბსიდია შეადგენს 1 კგ რქანიტელისა და 1 კგ კახური მწვანისთვის 20 თეთრს. მინისტრმა საზღვარსა და ალინიშნა, რომ სახელმწიფო სანარმო მზად არის მევენახეებისგან მიიღოს კლიმატური პირობების გამო დაზიანებული ყურძენი, რომელზეც კერძო სექტორის მხრიდან არ იქნება მოთხოვნა და ფერმერებს 1 კილოგრამში 90 თეთრი გადაუხადოს.

რთველი 2023-ის საკოორდინაციო შტაბის გახსნის ღონისძიებაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მუხუზაძემ რთველის საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრა.

მიმდინარე წელს, ყურძნის საპროგნოზო მოსავალი 200 ათასი ტონის ფარგლებშია. მოსავლის დაზიანებაში, წელს, 500-მდე ღვინის სანარმო იქნება

ჩართული. მონეული ყურძნის ჩაბარება განხორციელდება ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის საფუძველზე. 24 აგვისტოდან, თელავში, 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს რთველის შტაბი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს რთველის ორგანიზებულად ჩატარებას, ჩასაბარებელი ყურძნის აღრიცხვას და მიკვლევადობის უზრუნველყოფის სამუშაოებს.

**ყურძნის აღრიცხვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოხდება. აღნიშნული სისტემა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წლიდან დაინერგა და მას შემდეგ ეფექტიანად ფუნქციონირებს.**

## საქართველოში ვენახების ერთიანი კადასტრი კანონით დარეგულირდება - რას ითვალისწინებს კანონმდებლობა

საქართველოში „ვენახების ერთიანი კადასტრი“ კანონმდებლობით დარეგულირდება. აღნიშნული ცვლილება „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში უკვე შევიდა და საკანონმდებლო მაცნეშიც გამოქვეყნდა.

ვენახების ერთიანი კადასტრის შექმნისა და ორგანიზების წესის მიხედვით, კადასტრის შექმნის მიზანია ვენახების ერთიანი კადასტრის შექმნა და განახლება, ვენახებისა და მევენახეების შესახებ ზუსტი ინფორმაციის შეგროვება, რეგისტრაცია და შენახვა. ვენახების ერთიანი კადასტრის შექმნასა და ორგანიზებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ღვინის ეროვნული სააგენტო.

კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ვენახების ერთიანი კადასტრის შექმნის ეტაპებია:

- ა) ვეგეტაციის პერიოდში ვენახებით გაშენებული ტერიტორიის აეროფოტო გადაღება და ორთოფოტოების დამზადება. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - საჯარო რეეს-

- ბ) ვენახის იდენტიფიკაცია და მისი საზღვრების მოხაზვა რუკაზე;
- გ) მევენახის ვინაობის დადგენა: დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი;
- დ) იდენტიფიკირებულ ვენახზე შემდეგი ინფორმაციის შეგროვება:

- დ.ა) ვენახის ადგილმდებარეობა საჯარო რეესტრის სასაზღვრო ბადის (ზონა, სექტორი, კვარტალი) შესაბამისად;
- დ.ბ) ვენახის ფართობი;
- დ.გ) ვაზის ჯიშის /ჯიშები;
- დ.დ) რეგისტრაციის და ვაზთა შორის მანძილები;
- დ.ე) საძირე;
- დ.ვ) გაშენების წელი, ან გაშენების პერიოდი;

- დ.ზ) ფორმირების წესი;
- დ.თ) მორწყვის შესაძლებლობა და რწყვის ტიპი;
- დ.ი) საერთო მდგომარეობა;
- დ.კ) სამეურნეო მიმართულება (სალვინე, სასუფრე).

ვენახს პროგრამულად ენიჭება ცამეტნიშნა უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, ინფორმაცია ინახება კადასტრის მონაცემთა ბაზაში და აისახება რეესტრში. ვენახზე ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება მევენახის გამოკითხვისა და ვენახის შერჩევით შემოწმების გზით. კანონის მიხედვით, კადასტრის შესაქმნელად მევენახემ განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს ვენახების კადასტრის პროგრამას 2014 წლიდან ახორციელებს, რომელიც მიზნად ისახავს ვენახების და ღვინის წარმოების მართვისა და კონტროლისთვის საჭირო, განახლებადი საინფორმაციო სისტემის შექმნას, რომლის ძირითადი მიზანია ყურძნის და ყურძნისული პროდუქტის მონიტორინგი და შემოწმება. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე, ვენახების ერთიანი კადასტრის მომზადების საკითხები, დღემდე დარეგულირებული არ იყო.



## ოთარ შამუგია მევენახე ფერმერებს და ღვინის მწარმოებლებს უხვდა

კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, მევენახე ფერმერებთან შეხვედრაზე, რთველთან დაკავშირებული საკითხები განიხილა.

შეხვედრას კახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, მაჟორიტარი დეპუტატები ირაკლი ქადაგიშვილი და გელა სამხარაული ესწრებოდნენ. როგორც ოთარ შამუგიამ აღნიშნა, სახელმწიფო აგრძელებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მხარდაჭერას როგორც რთველის სუბსიდირების, ასევე მარკეტინგის, პოპულარიზაციის და ლოგისტიკის მიმართულებებით. „სამწუხაროდ სეტყვამ საგრძნობლად დააზიანა ყურძენი. მაღლობები ვართ სახელმწიფოს, რომ სუბსიდირებას ახორციელებს და ამ დასეტყვილ ყურძენზეც გვაძლევს შესაბამის თანხას, რითაც გავისუფლებთ დანახარჯს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ დაზღვევა ყოველ წელს აუცილებელია“, - აღნიშნა მე-

ვენახე ფერმერმა რევაზ მეგრელიშვილმა. „წინა წლებთან შედარებით, კლიმატური პირობების გამო, ყურძენი დაზიანებულია. აქედან გამომდინარე, კარგია რომ სუბსიდირება იქნება; გვეხმარება სახელმწიფო, რაც ნაგვადგება მომავალში დავამუშაოთ, ხარისხიანი ყურძენი მოვიყვანოთ და მოვუაროთ. დაზიანებულ ყურძენში 90 თეთრი ნამდვილად მისაღებია“, - აღნიშნა ზურაბ ზურიაშვილმა.

ოთარ შამუგია „კორპორაცია ქინძმარაული“ კომპლექსშიც იმყოფებოდა. კომპლექსი ღვინის სანარმოს და ტურისტულ სივრცეს მოიცავს. სანარმო ქინძმარაულსა და ყვარლის მიკროზონებში 150 ჰექტარ ვენახს ფლობს, საიდანაც 100 ჰექტარი ქინძმარაულის ტრადიციულ მიკროზონაშია გაშენებული. ყოველწლიურად, კომპანია 25 სახის ღვინოს და 10-მდე სახის ღვინის ბრენდს აწარმოებს, როგორც საკუთარი ვენახებიდან მონეული ასევე ადგილობრივი გლეხებიდან შექმნილი ყურძნისგან.

აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი მსოფლიოს 26 ქვეყანაში ხორციელდება და ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. მინისტრმა იმ მიზნობრივ სახელმწიფო მარკეტინგულ პროგრამებზე ისაუბრა, რომელიც ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს, მოახდინონ საკუთარი პროდუქციის წარდგენა საერთაშორისო გამოფენებზე, მოიძიონ პოტენციური სავაჭრო პარტნიორები და გაზარდონ ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. როგორც კორპორაციის დამფუძნებელმა, თამაზ კონჭოშვილმა აღნიშნა, მიმდინარე წელს სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზიანა მათი ვენახები, შესაბამისად, რთველი 2023-ის პროცესში აქტიურად აპირებს მევენახეებისგან ყურძნის შესყიდვას. „კორპორაცია ქინძმარაული“ შეღავათიანი აგროკრედიტის ბენეფიციარია. კორპორაციამ, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, ისარგებლა ღვინის სანარმოს გადართობის, მანქანა-დანადგარების შეძენის, ვენახის გაშენებისა

და ყურძნის შესყიდვის მიზნობრიობებით. „მევენახეებისგან მივიღებთ ყურძენს 500 ტონის ფარგლებში. მაღლობა სახელმწიფოს სუბსიდიით მხარდაჭერისთვის, ასევე ხელშეწყობისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის კუთხით“, - აღნიშნა „კორპორაცია ქინძმარაული“ დამფუძნებელმა, თამაზ კონჭოშვილმა.

„უკვე წლებია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, რთველი ტექნიკური ხარვეზების გარეშე მიმდინარეობს. იმ სუბსიდიით, რომელსაც სახელმწიფო გასცემს, ღირსეულ შემოსავალს მიიღებენ კახელი მევენახე-ფერმერები. სახელმწიფოს მხარდაჭერით, არცერთი კილოგრამი ყურძენი არ დარჩება ჩაუბარებელი“, - აღნიშნა კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა.



# დედოფლისწყაროს ღია პირველობა მკლავჭიდში



24 აგვისტოს, სოფელ ოზანში ჩატარდა დედოფლისწყაროს ღია პირველობა მკლავჭიდში. პირველობაზე სკოლის ასაკის ბავშვები იღებდნენ მონაწილეობას ხუთ წონით კატეგორიაში. შეჯიბრში ქ.დედოფლისწყაროსა და სოფლების - ზემო მაჩხანისა და ოზანის 6 გუნდი მონაწილეობდა, სადაც გათამაშდა გარდამავალი თასი. პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „ოზანი“. შემადგენლობა: გიორგი გარსენიშვილი, ნიკა მარტყოფლიშვილი, ალექო სუხიტაშვილი, ჯაბა ოზაშვილი.

და თორნიკე ყაჭაშვილი. მესამე ადგილზე - გუნდი „ქიზიცი“. შემადგენლობა: დათო ჩიკვაძე, ვანო ცქიტიშვილი, აჩიკო სუხიტაშვილი, ირაკლი ოზაშვილი და ნილოლოზ ცხვედიაშვილი.



## ქვემო ქედის ღია პირველობა მინი ფეხბურთში

22 აგვისტოს, სოფელ ქვემო ქედში ჩატარდა სოფელ ქვემო ქედის ღია პირველობა მინი ფეხბურთში, სადაც ქვემო ქედის 4 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვებული გახდა გუნდი - „ლეგიონერები“. საუკეთესო მეკარედ დასახელდა ანდრია ბუილიშვილი, ბომბარდირად-გიორგი ბოძაშვილი, ხოლო ყველაზე პატარა მონაწილედ-ავთანდილ ბერიკაული. ტურნირის ფინანსური მხარდაჭერი გახლდათ ალექსი დოჯურიშვილი. სოფელ ქვემო ქედის ფეხბურთის მწვრთნელი - არჩილ მარტიაშვილი.

## ბრინჯაოს მედლები პარა ძიუდოსტთა მსოფლიო ჩემპიონატზე

ბერმინგემში მიმდინარე პარა ძიუდოსტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ლაშა ყიზილაშვილმა და რევაზ ჩიკოიძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ჩიკოიძემ (+90 კგ) ბრიტანელ და უზბეკ მონაწილეებს სძლია, ნახევარფინალში თურქ მეტოქესთან დამარცხდა, მესამე ადგილისთვის ბრძოლა კი კუბელ პარასპორტსმენს მოუგო. ასევე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა 90 კგ წონით კატეგორიაში ლაშა ყიზილაშვილი.



## კვარაცხელიაზე ბოლო დღეებში ცრუ ინფორმაცია ვრცელდება

ნეაპოლემა ჟურნალისტმა კარლო ალვინომ განაცხადა, რომ ხვიჩა კვარაცხელიას ხელფასის გაზრდა არ მოუთხოვია და ბოლო დროს იტალიურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია მცდარია. როგორც მან აღნიშნა, ხვიჩას გარემოცვასაც არ აქვს იტალიის მოქმედ ჩემპიონთან რაიმე სახის პრობლემა. „კვარას შესახებ ყალბი ინფორმაციები ვრცელდება. გარკვეული რაოდენობის ხელფასის მოთხოვნაზე ინფორმაცია მცდარია, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს მოლაპარაკებები არც კი დაუწყიათ. სამაგიეროდ, სიმართლეა, რომ არსებობს ამ საკითხის განხილვის სურვილი, ასევე სიმართლეა ის, რომ ხვიჩას გარემოცვასა და „ნაპოლის“ შორის არავითარი პრობლემა არ არსებობს“, - თქვა ალვინომ. შეგახსენებთ, იტალიური მედია ბოლო დღეები წერდა, რომ ხვიჩა კვარაცხელია ხელფასის 5 მილიონ ევრომდე მომატებას ითხოვდა. ქართველი ფეხბურთელი „ნაპოლიში“ ამჟამად მხოლოდ 1.2 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.



## საბა ლოპუჯანიძე „ატლანტა იუნაიტედს“ შეუერთდა

საბა ლოპუჯანიძემ სამუშაო ვიზა მიიღო, ამერიკაში გაფრინდა და ახალ გუნდს, „ატლანტა იუნაიტედს“ შეუერთდება - საქართველოს ნაკრების ნახევარმცველზე ფოტო და ვიდეომასალას გუნდის პრეს-სამსახური ავრცელებს. „24 აგვისტო. ქართველი ბიჭის პირველი დღე“ - კლუბმა საბა ლოპუჯანიძის ჩასვლის ვიდეო ამ სათაურით გაავრცელა. ქართველმა ფეხბურთელმა ახალი გუნდელის ტრადიციულ დერეფანში გაირბინა და „ატლანტაში“ პირველად ივარჯიშა. ლოპუჯანიძე „ჰატაისფორიდან“ ამერიკულ კლუბში 2 აგვისტოს გადავიდა, მაგრამ „სიეტლთან“ („ატლანტამ“ სტუმრად 2:0 მოიგო) MLS-ის ტურის მატჩი გამოტოვა. საბა ამერიკის ვიზას ელოდა, მუშაობის უფლება მიიღო და 23 აგვისტოს უკვე ატლანტაში ჩაფრინდება. „ატლანტა იუნაიტედი“ მომდევნო შეხვედრას 27 აგვისტოს საკუთარ მოედანზე „ნემვილთან“ ჩაატარებს და სავარაუდოდ, საბა ლოპუჯანიძის დებიუტი ამ შეხვედრაში შედგება. ქართველი ფეხბურთელის გუნდი ამერიკის ჩემპიონატის აღმოსავლეთ კონფერენციაში 25 ტურის შემდეგ 38 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

## ესპანეთის ქალ ფეხბურთელთა ნაკრები ისტორიაში პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი

ესპანეთის ქალ ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია. სიდნეიში გამართულ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ესპანეთმა ინგლისი 1:0 ოლგა კარმონას გატანილი გოლით დაამარცხა. კარმონამ ინგლისელთა კარში გადამწყვეტი გოლი პირველ ტაიმში, 29-ე წუთზე გაიტანა. ამის შემდეგ ესპანელ ფეხბურთელებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, თუმცა ინგლისის ნაკრების მეკარე კარგად თამაშობდა. მატჩის 70-ე წუთზე ინგლისელთა კარის დარაჯმა, მერი ერპსიმ ჯენიფერ ერმოსოს დარტყმული თერთმეტმეტრიანიც აიღო და საკუთარ გუნდს ფინალური შეხვედრის გადარჩენის შანსი შეუნარჩუნა, თუმცა მისმა თანაგუნდელებმა ანგარიშის გათანაბრება ვეღარ მოახერხეს. 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ესპანელი აიტანა ბონმატი დასახელდა. ესპანეთის ნაკრები ქალთა შორის პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. აქამდე ამ ტიტულის მფლობელები იყვნენ: აშშ (ოთხჯერ), გერმანია (ორჯერ), ნორვეგია და იაპონია.



# ექსპერტიზის დასკვნა და სასამართლო სხდომის დეტალები

23 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაიწყო მისი შემოწმების 19 წლის გიორგი ალხანიშვილის ქობულეთში მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა. პირველი სხდომა ერთი თვით ადრე იყო ჩანიშნული, თუმცა ექსპერტიზის დასკვნების დაგვიანების გამო სასამართლო გადაიდო. ამჯერად წინასასამართლო სხდომა მოსამართლე ლევან ყოლბაიამ გამართა. ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე, რომელიც დიდ ბრიტანეთში იყო გაპარული, სკოტლანდ იარდმა რამდენიმე კვირის წინ დააკავა. იყო მოლოდინი, რომ სასამართლო სხდომამდე მას ქართულ მხარეს გადმოსცემდნენ, თუმცა საქმის განხილვა ისე დაიწყო, მოკლულის კლასელი ალექსანდრე ბაყუნაიშვილი საქართველოში ისევ არ ჩამოყვანილია. ხმაურიანი საქმის განხილვა ამჯერად მის გარეშე დაიწყო. თუმცა, ცნობილია, რომ ბათუმში მყოფი მისი ოჯახის წევრები დაკავებულები არიან.

პროკურორმა ვლადიმერ თურმანიძემ შურნალისტებს ვერ დაუკონკრეტა, რატომ არ გადმოსცეს დაკავებული ქართულ მხარეს, ან კონკრეტულად როდის იგეგმება ბაყუნაიშვილის ექსტრადირება ლონდონიდან საქართველოში.

გვამის აღმოჩენისთანავე დააკავეს სამი ახალგაზრდა, რომელთაც დანაშაულის დაფარვა ედებოდა ბრალად და ისინი ქობულეთში, იმ სუფრაზე იმყოფებოდნენ, სადაც თანატოლებს შორის კონფლიქტი დაიწყო. მთავარმა ეჭვმიტანილმა, ვის სახლშიც ახალგაზრდები ქეიფობდნენ, საზღვარგარეთ გაპარვა პოლიციაში შეტყობინების შესვლამდე მოასწრო. რამდენიმე დღეში დააკავეს მისი მამა, გიორგი ბაყუნაიშვილი, რომელიც სუფრის დანარჩენ ნევრებზე ზენოლას ახდენდა და აიძულებდა, სიმართლე არ ეთქვათ. მოგვიანებით, იგივე ბრალდებით, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დააკავეს გაქცეულის კიდევ ორი ბიძა, რომელთაგან ერთი სასულიერო პირია. საბოლოო ჯამში შვიდი ბრალდებულია, სასულიერო პირი გირაოთია გათავისუფლებული, მთავარი დამნაშავე ლონდონშია დაკავებული, მისი მამა, ბიძა და სამი თანატოლი კი უკვე პატიმრობაშია.

როგორც სასამართლო სხდომაზე გაიკვია, ბრიტანეთში გაქცეულის მამა, სასულიერო პირი და მათი კიდევ ერთი ძმა დანაშაულს არ აღიარებენ, თუმცა პროკურატურის პოზიციას ადასტურებენ სუფრის დანარჩენი ნევრები, რომელიც პირველ ეტაპზე დააკავეს.

მოკლულის დედა **მარიამ მაქალა-რაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ კვლავაც ვერ გაარკვია, დაიღო თუ არა ექსპერტიზის დასკვნა. ის ამბობს,

რომ მათმა ადვოკატმა მოულოდნელად განაცხადა, რომ დაზარალებულ ოჯახს დახმარება აღარ ჭირდებოდა და უარი თქვა დაცვაზე. არადა, მანამდე ის აცხადებდა, რომ ოჯახს უანგაროდ ეხმარებოდა.

„ადვოკატ დავით ჯაფარიძესთან დაკავშირებით აბსოლუტურ გაუგებრობაში ვარ, მაგრამ ვერ წამოვდექი ჯერ ფეხზე ისე, რომ ყველაფრის გარკვევა შეეძლო. თვითონ გადწყვიტა, რომ ჩვენს საქმეში ადვოკატი არ იყო საჭირო. თუმცა, ყველაფრის გარკვევას შევეცდები ჩემი საყვარელი შვილის გამო. ყველა დაიხსნება, როგორც შეეძლება ისე... აირიდა ზედმეტი კითხვები... ჩემთვის ძალიან მძიმეა ყოველგვარი სტატიები, საუბრები, იქ სადაც გიორგის მხოლოდ წარსულზე ან მოკლულ გიორგიზეა ლაპარაკი, საშინლად ვმძიმდები და ცუდად ვხდები. ვერ ვძლიე ჯერჯერობით ჩემს თავს, აქედან გამომდინარე ექსპერტიზის



პასუხებიც ვერ და არ ვნახე. მაღლობა გაზეთ „შირაქს“ ჩვენი საქმის ასე ერთგულად გაშუქებისთვის. უბრალოდ ყველამ გულთან უნდა მიიტანოს ეს ამბავი, რადგან ყველას შვილი იზრდება ამ ქვეყანაში და თუ სამაგალითოდ არ დაიხსნებიან, არაა გამორიცხული, რომ მომავალში სხვა ნებისმიერის შვილი იყოს მსხვერპლი. ამჯერად ახალი ადვოკატი მყავს და იმედი მაქვს ყველაფერს გააკეთებს,“ - აცხადებს მოკლულის დედა.

დაკავებულების ადვოკატმა მოითხოვა მკვლელობის ადგილის დათვალიერების ოქმის დაუშვებლად მიჩნევა, რადგან პოლიციის მიერ ოქმი სოფელ აჭყვისთავში შედგა, გამომძიებლებმა კი, სოფელ ლელვაში დათვალიერეს შემთხვევის ადგილი. „ერთია, დანაშაულის ჩადენის ადგილი, მეორე - გვამის აღმოჩენის ადგილი“, - მიმართა პროკურორმა თორნიკე გოგეშვილმა ადვოკატებს.

კიდევ ერთი მთავარი მტკიცებულება ამ საქმეში სატელეფონო საუბარია: მკვლელობაში ბრალდებული კაცი

მოკლულის დედამ მარინა მაქალაქაშვილმა ჩანერა, ვიდრე მოკლული ბიჭის ცხედარს იპოვიდნენ.

„...ამ ჩანანერის ამოღება მოხდა კანონიერად, მაგრამ კერძო პირებს შორის საუბრის ჩანერა იყო უკანონო - ფარულად და უნებართვოდ ჩანერეს“, - თქვა ადვოკატმა.

„ეს ჩანანერი ეხება ძალზე მნიშვნელოვან საუბარს, ის არის მოკლულის დედა... ის ეძებდა თავის შვილს, რომელიც დამარხული იყო და ამ დროს იღებდა ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას. გაუნდა შიში, რომ რაღაც უბედურება ხდებოდა და ამიტომაც გადაწყვიტა სატელეფონო საუბრის ჩანერა. ეს ჩანანერი მას საჯაროდ არ გამოუქვეყნებია, წარმოადგინა საგამოძიებო ორგანოში“, - გაცხადდა პროკურორი თორნიკე გოგეშვილი.

ორი სტუდენტის მონათხრობი ამ საქმეში მთავარი მტკიცებულებაა - სასამართლო სხდომაზე ადვოკატებმა მათ მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაუშვებლად მტკიცებულებად მიჩნევა მოითხოვეს, რადგანაც ისინი პოლიციის განყოფილებაში ფარულად ჩანერეს.

„რას ემსახურებოდა მათი ფარულად ჩანერა, როცა ისინი მზად იყვნენ, მიეცათ ჩვენება?“, - იკითხა ადვოკატმა მიხეილ მიქანაძემ.

„გამოდის, რომ მათ ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ... ამ დროს მათ ჰქონდათ უფლება, არ მიეცათ ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ“, - დიალოგში კიდევ ერთი ადვოკატი ჩაერთო, რომელმაც იმის დასაბუთება სცადა, რატომ იყო ბრალდებულების ფარული ჩანერა პოლიციის განყოფილებაში უკანონო.

„ისინი ხშირად ცვლიდნენ პოზიციებს“, - მოსამართლეს მიმართა პროკურორმა თორნიკე გოგეშვილმა და შემდეგ გისოსებს მიღმა მყოფ ბრალდებულებს გახედა: „ეს პირები ინტენსიური ზემოქმედების ქვეშ იყვნენ... იგრძობოდა, ასე ვთქვათ, წინასწარ „დალაგებული“ თემა: რა უნდა ეთქვათ დედისთვის, რა - პოლიციისთვის. დედას ეუბნებოდნენ, რომ აი, კახეთისკენ ეძებეთ...“ - აღნიშნა პროკურორმა.

სასულიერო პირი, ქობულეთის ცხემგანის მონასტრის მოძღვარი **მამა იოზი, იგივე გელა ბაყუნაიშვილი** კი გირაოს საფუძველზეა გათავისუფლებული, ამ საქმეზე კიდევ 5 ბრალ-

დებულისგან განსხვავებით, რომლებიც წინასწარ პატიმრობაში რჩებიან.

„მათ არაფერი დაუშავებიათ. მე მონასტერში ვარ, 2 ძმა პატიმარია, ახლა ჩემი სარჩენია... ისინი შრომობდნენ პატიოსნად, იყვნენ გარეთ ჩემსავით,“ - მიმართა სასულიერო პირმა მოსამართლეს. ლევან ყოლბაიას მღვდლისთვის პასუხი არ გაუცია.

**მარინა ბარონიძე (ალხანიშვილის ოჯახის ადვოკატი):** „სასამართლო შინაარსობრივ განხილვაში ჯერ არ შესულა. ექსპერტიზის პასუხები უკვე მივიღეთ და მტკიცებულებები საქმეში დევს, მაგრამ სასამართლო არ გადასულა მათი განხილვის ეტაპზე. პირველ სხდომაზე მეორე მხარის ადვოკატებმა რამდენიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა მოითხოვეს, რაზეც მოსამართლეს გადაწყვეტილება არ გამოუცხადებია და პასუხს შემდეგ სხდომაზე იტყვის. რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას - ეს მაინც ზოგადი დასკვნაა და ჩვენი მხარე მთლად კმყოფილი არ არის. დეტალებზე საუბარი არ მინდა, რადგან ჩვენ ჩვენი სტრატეგია გვაქვს. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ექსპერტიზის დასკვნა ბრალდებულის პოზიციას ამყარებს. ვინაიდან გვამის აღმოჩენის პროცესში ლპობა მიმდინარეობდა, ამის გამო ექსპერტებმა ბევრი ვერაფერი დაადგინეს. არსებობს პრაქტიკა, რომ ზოგ შემთხვევაში საზღვრებს გარეთ დაკავებული დამნაშავეს სამშობლოში ექსტრადირების პროცესი 4-5 თვის განმავლობაში ჭიანურდება ხოლმე, ამდენად, შესაძლოა ბაყუნაიშვილის ჩამოყვანაც მალე ვერ მოხდეს, მაგრამ ვფიქრობ, ეს არ შეაყოვნებს სასამართლო განხილვას. ექსპერტიზის დასკვნას უნდა ეთქვა, მხოლოდ ერთმა პირმა ჩაიღინა დანაშაული, თუ 18 ჭრილობა ჯგუფურად აქვს მიყენებული, მაგრამ ეს კითხვა მაინც უპასუხოდ რჩება. ჩვენი პოზიციაა, რომ თავიდანვე ჯგუფურად დაიგემა, რადგან 4 პირი მივიდა სახლში. გვამის დამარხვის შემდეგაც ახალგაზრდები მამასთან ერთად განხილავდნენ, კვალის დასაფარად და სასჯელის თავიდან ასარიდებლად გვამი დადგენილებინათ, თუ რომელ მდინარეში გადაეგდოთ. თავად სახლი, სადაც ქეიფობდნენ დათვალიერებული არ არის. გამომიბედა ვერ ამბობს, ბაყუნაიშვილის პაპის სახლში იყო თუ არა სისხლის კვალი. სადაც კონფლიქტი დაიწყო, შემდეგ ჩხუბი ეზოში გაგრძელდა, თუმცა გამომიბედას არ დაუთვალიერებია ბლჩია.“

**სასამართლო განხილვა 6 სექტემბერს გაგრძელდება. სწორედ შემდეგ სხდომაზე გაიკვება, რომელ მტკიცებულებებს გააუქმებს მოსამართლე.**

## ხანძარი ოზაანში გაჭირვებული ოჯახი დააზარალა

20 აგვისტოს ხანძარი იყო სოფელ ოზაანში. სამზარეულოში უყურადღებოდ დატოვებული გაჭურვილი ცეცხლი გავრცელდა და საცხოვრებელი ფართი დაზიანდა. შემთხვევის შედეგად ენ მეცამეტე უბანში არსებული ბოსტოლანაშვილების სახლი დაზიანდა. როგორც ოზაანელები „შირაქს“ ეყვებიან, შემთხვევის ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახურის ეკიპაჟი დროულად მივიდა, თუმცა სამზარეულო და შენობის გარკვეული ფართობი მაინც დაინვა, განადგურდა ავეჯი და სამზარეულოს ელექტროტექნიკა.

სოფელ ოზაანში მერის რწმუნებული **ვანო ბენაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მერიამ უკვე შეისწავლა ზარალი და მუშაობენ ოჯახის დასახმარებლად.

„ადგილზე იმყოფებოდნენ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები, აზომეს დაზიანებული ფართობი და სწავლობენ ზარალის ოდენობას. შემდგომში გაიკვება, რა

ტიპის დაზიანება გაენევა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ ოჯახს. ჯერ ვერ გეტყვით, სამშენებლო მასალით დავეხმარებით, თუ რა სახით, თუმცა მხარდაჭერა აუცილებლად იქნება. ახლაც ადგილობრივი მოსახლეობა დაეხმარა, კიდევ აქტიურობენ, შეიქმნა საბანკო ანგარიში და ყველა ოზაანელი ცდილობს შეძლებისდაგვარად გვერდში დაუდგეს მათ. შეჭირვებული ოჯახია, თუმცა საარსებო შემწეობას



არ იღებენ,“ - აღნიშნავს „შირაქთან“ ვანო ბენაშვილი.

ადგილობრივების ინიციატივით მეორე დღესვე საქველმოქმედო კამპანია დაიწყო. ოზაანის მკვიდრი **სოფო მანაშვილი** „შირაქს“ ეუბნება, რომ დაზარალებულთა დასახმარებლად თანხის შეგროვება დაიწყო.

„სოფელში როცა ასეთი შემთხვევები ხდება, ყოველთვის ვაქტიურობთ და საქველმოქმედო მართონს ვაწყობთ. ამ შემთხვევაში, როგორც ვიცი, ხანძარი ოპერატიულად ჩააქრეს, მეზობლებიც აქტიურობდნენ და ცეცხლი ყველგან აღარ გავრცელდა, მაგრამ ხელმოკლე ოჯახია და ზარალი მაინც დიდია. მოხუცი ქალბატონი შურა შვილთან ერთად ცხოვრობს. სულ დაეწვია სამზარეუ-

ლოს ავეჯი, ტექნიკა, ჭერიც დაზიანდა და შესაკეთებელია. ამიტომ დავიწყე კამპანია, რომ თითო ლარით დავეხმაროთ ამ ოჯახს. შეგროვების პროცესი კიდევ გრძელდება,“ - აღნიშნავს სოფო მანაშვილი.

„შირაქი“ უკვე წერდა, რომ რამდენიმე თვის წინ ოზაანში შეიქმნა საქველმოქმედო საინიციატივო ჯგუფი „ოზაანელები ოზაანელებისთვის“, რომელიც სწორედ გაჭირვებული ოჯახების დახმარებაზეა ორიენტირებული. მათი ძალისხმევით რამდენიმე ადგილას უკვე დაიდგა შესანიერი ყუთები და უკვე დაეხმარნენ ავადმყოფ ბავშვს, რომელსაც ძვირადღირებული კვლევები ესაჭიროებოდა. ხანძრით დაზარალებული ოჯახის დახმარების კამპანიას ისინიც შეუერთდნენ და აღნიშნავენ, რომ ყუთებში ამჯერად არსებული თანხა სწორედ მათ გადაეცემა.

**გვერდი მომზადა ილია მარტყოფლიშვილმა**



# რატომ გვაბრძობს სიცხეში ცხელი სასმლის მიღება?

როდენ უჩვეულოდაც არ უნდა უღერდეს, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში ცხელი სასმელის მიღებამ გავაგრძელოს. ექსპერტებს თუ დაუჯერებთ, ეს სხეულის ტემპერატურას განსაკუთრებით მშრალ გარემოში ამცირებს.

როგორც ყველა თბილისისხლიანი ცხოველი, ადამიანებიც უწყვეტად ვერგებით სიტუაციას, რათა მუდმივი შინაგანი ტემპერატურა შეინარჩუნოთ.

მექანიზმი შემდეგნაირად მუშაობს: როცა სასმელი სხეულზე თბილია, თავისთავად, მისი მიღებისას ჩვენც უფრო ვხურდებით; ამის გამო ცხელი სითხის მიღებისას ნერვებში არსებულ რეცეპტორი, TRPV1, აქტიურდება; ეს რეცეპტორი სხეულს ატყობინებს, რომ უნდა გაგრილდეს, რის შედეგადაც ოფლის გამოყოფა იწყება; გამოყოფილი ოფლი ორთქლდება, ეს კი სითბოს გაფანტვაში გვეხმარება და გვაგრილებს.

ამ მექანიზმის წყალობით ადამიანის სხეულმა საკმაოდ მაღალ ტემპერატურასაც შეიძლება გაუძლოს.

ალსანიშნავია, რომ ნესტიან გარემოში ოფლის გამოყოფა გაგრძელების კუთხით ნაკლებად მუშაობს, რადგან ჰაერი ისედაც სავსეა წყლის ორთქლით და კანიდან ბევრის შეწოვა აღარ შეუძლია; სწორედ ამიტომაც, რომ ნესტიან გარემოში ბევრად დაბალია ტემპერატურა, რომე-



ლზეც ჯერ კიდევ შეგვიძლია გადავრჩენა. მეორე მხრივ, ცივი სასმელების მიღებისას ტვინი ოფლის გამოყოფას ამცირებს, შედეგად კი სხეული თავის ბუნებრივ ტემპერატურას უბრუნდება. კვლევის თანახმად, ნაკლებად ქარიან ან მეტად ნესტიან გარემოში (ოფლის გამოყოფისათვის ხელშემშლელი ფაქტორების არსებობისას) ცივი სასმელები უკეთესია სხეულის გასაგრილებლად.

ცხელ სასმელების მიღება სხვა მექანიზმითაც შეიძლება დაგვეხმაროს გაგრილებაში: ასე საკმარის სითხეს ვიღებთ იმისათვის, რომ ოფლი საერთოდ წამოგვივიდეს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად, ნაცვლად წყლისა, ადამიანები სხვა სასმელების მიღებას უფრო ანიჭებენ უპირატესობას. თავისთავად, სხეულის ჰიდრატაციისთვის სასმლის ტემპერატურას მნიშვნელობა არა აქვს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ ადამიანს ცივი წყლის გავლენაც არასწორად ესმის; მზის გულზე მომუშავე ადამიანები ზოგჯერ მის მიღებას შოკის შიშით არიდევენ თავს, რაც გაუწყობლობას უწყობს ხელს. ექსპერტები გვიჩვენებენ, რომ სხეულის ადეკვატური ჰიდრატაციისთვის უმჯობესია, ჩვენთვის მოსაწონ ტემპერატურას მივანიჭოთ უპირატესობა.

თავისთავად, მზის პირისპირ ყოფნისას მხოლოდ სხეულის გაუწყობლობისგან დაცვა არ დაგვეხმარება – მნიშვნელოვანია შესვენება და გამაგრილებელ სისტემებზე წვდომა.

საგულისხმოა, რომ ექსტრემალური სიცხის პირობებში დამატებით ოფლიანობა, შესაძლოა, გაგრძელებაში სულაც არ დაგვეხმაროს. შესაბამისად, თუ სიცხისგან თქვენი სხეული ისედაც სტრესშია, დამატებით ცხელ სასმელს ნულარ დაამატებთ.

**საბოლოო ვაშში, შესაძლოა, ზაფხულის სიცხეში ცხელი ჩაის მიღება არც ისე კარგ იდეად მოგჩვენოთ, თუმცა რეალურად სხვა: იგი სხეულში გაგრილების მექანიზმებს აქტიურებს და წყლის შენარჩუნებაში გვეხმარება, რაც ტემპერატურის რეგულაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

## რამდენ კილომეტრს უარავთ სასლიდან გაუსვლელად?

გიფიქრიათ, რა მანძილს ფარავთ ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში?

თუ მხოლოდ დედამიწის ზედაპირზე მოძრაობას ჩავთვლით, თითოეული ჩვენგანი საშუალოდ 50 000-80 000 კილომეტრს გადის, რაც საკმაოდ დიდი დისტანციაა. ამის მიუხედავად, ჩვენი გადაადგილება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, რადგან თავად პლანეტა, რომელზეც ვიმყოფებით, მუდმივ მოძრაობაშია. ის წარმოსახვითი ღერძის გარშემო ბრუნავს, რასაც 24 საათს ანდომებს. შესაბამისად, ბრუნავს ყველაფერი, რაც დედამიწაზეა. გამოიკვლია, რომ ყველა ეკვატორზე არ ცხოვრობს, საშუალოდ ეს მაჩვენებელი 1500 კმ/სთ-ია. თუ ამ ყველაფერს სიცოცხლის თითქმის 80-წლიან ხანგრძლივობას მოვარგებთ, ჯამში დაახლოებით 1 მილიარდ კილომეტრს მივალავთ.

ღერძის გარშემო ბრუნვის გარდა დედამიწა მზის ირგვლივაც მოძრაობს, რა დროსაც მისი საშუალო ორბიტული სიჩქარე 30კმ/წმ-ია, ანუ წელიწადში 1 მილიარდ კილომეტრამდე მანძილი. 80 წელზე ეს 80 მილიარდი კილომეტრი გამოდის.

ყველაფერი ამით არ მთავრდება: თავად მზე ჩვენი გალაქტიკის ცენტრის

გარშემო გადაადგილდება. ერთი ასეთი გალაქტიკური წელი თითქმის 230 მილიონი დედამიწური წელია (შედარებისთვის, ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე დაახლოებით 17 გალაქტიკური წლის წინ გაჩნდა, 25 გალაქტიკურ წელში კი მზე მოკვდება). შედეგად, თითოეული ჩვენგანი სიცოცხლის განმავლობაში 600 მილიარდ კილომეტრს დაფარავს.

იქიდან გამომდინარე, რომ სამყაროში ყველაფერი მოძრაობაშია, გამოიკვლია, რომ არც ირმის ნახტომია, რომელიც ანდრომედას გალაქტიკისკენ მიინეწვს. ამას ემატება სამყაროს გაფართოება და ის, რომ ეს ორივე სისტემა დაახლოებით 65 მილიონი სინათლის წლის მოშორებით მდებარე ე.წ. ქალწულის შეჯგუფებისკენ (გალაქტიკათა შეჯგუფება) მიემართება, ამ უკანასკნელს კი დიდი ატრაქციონისკენ აქვს გეზი აღებული.

კოსმოსურ მიკროტალღურ ფონზე დაკვირვებით საერთო მოძრაობის გამოთვლა შესაძლებელია. სინათლე, რომელსაც ვუახლოვდებით, სპექტრის ლურჯ დიაპაზონში გადადის, შორეული სინათლე კი წითელ დიაპაზონში იწველება. ამის გათვალისწინებით, გადაადგილების სიჩქარის 630კმ/წმ-იან მაჩვენებელს ვიღებთ.

ამგვარად, საერთო ჯამში 80-წლიანი სიცოცხლის განმავლობაში ჩვენ მიერ დაფარული დისტანცია 1.5 ტრილიონ კილომეტრს აღწევს.

## როგორია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივად არსებული ცივილიზაცია?

თუკი ადამიანებს ჰკითხავთ, რომელია უძველესი ცივილიზაცია, გარკვეული წარმოდგენა, ალბათ, ყველას ექნება, თუმცა, რეალურად, ეს არც თუ მარტივი საკითხია. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, შესაძლოა, მხოლოდ ისტორიის ცოდნა საკმარისი არ იყოს.

პასუხის გაცემას ართულებს თავად ცნება „ცივილიზაცია“, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანი შეიძლება იყოს, რადგან ის წარმოშობს შემდეგ საკითხებს: საიდან ვიგებთ, როდის დაიწყო ან დამთავრდა ცივილიზაცია? გარდა ამისა, ბევრი ცივილიზაცია ასევე განიცდიდა უცხოელთა მმართველობის პერიოდებს, რაც ბადებს კითხვას – შეიძლება თუ არა, ასეთ შემთხვევაში, ცივილიზაცია ერთ, ხანგრძლივ ერთეულად ჩაითვალოს?

### ანტიკური და არც თუ ანტიკური ჩინეთი

ადამიანების ნაწილს, შესაძლოა, უძველესი ცივილიზაციის სხეულისას გონებაში ამოუტივტივდეს ჩინეთი, რასაც თავისი მიზეზები აქვს. ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ჩინურმა დამწერლობამ ყველაზე დიდხანს გაძლო. შეფასებულია, რომ თავად ენა 6 000 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, ხოლო იეროგლიფები, რომლებიც კუს ბაქნებზეა გამოსახული, სულ მცირე, 3 000 წლისაა. არ არსებობს სხვა კულტურა, რომელიც ასეთი ძლიერი უწყვეტობით დაიკვირვებდა.

თუმცა შეგვიძლია თუ არა, თანამედროვე ჩინეთი მის უძველეს წინამორბედს დაუუკავშიროთ? თუ იგი უკვე მეტისმეტად განსხვავებულია იმისათვის, რომ ერთ, უწყვეტ ცივილიზაციად მივიჩნიოთ? თუკი პირველ კითხვას დადებითად ვუპასუხებთ, გამოდის, ჩინეთი 5 000 წლის ყოფილა. ჩინეთის კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ფაქტი სწორედ ეს არის.

მაგრამ ამას ყველა ისტორიკოსი არ ეთანხმება. ერთი მხრივ, ამ პრეტენზიას აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღირებულება, რადგან ის ხელს უწყობს თანამედროვე ჩინეთის არსებული სტრუქტურის ლეგიტიმაციას. მეორეც, მთელი რეგიონი იმდენად ვრცელია და შედგება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისგან, რომ ძნელია მათ ერთნაირი კულტურისა და ტრადიციების მქონე ჰომოგენური ხალხი უწოდო.

### ანტიკური ეგვიპტე

ყველაზე ხანგრძლივად არსებული ცივილიზაციის ტიტულის კიდევ ერთი გამორჩეული კანდიდატია ძველი ეგვიპტე.

ეგვიპტე წარმოადგენდა ანტიკური სამყაროს უზარმაზარ სამეფოს, რომელიც პირველად გაერთიანდა ძვ.წ. 3100 წელს და გაძლო ძვ.წ. 332 წლამდე, ვიდრე მაკედონ-

ნელები დაიპყრობდნენ.

მიუხედავად ამ პოლიტიკური დაპყრობისა, ენა უცვლელი დარჩა და იეროგლიფები კვლავ გამოიყენებოდა ახ.წ. მე-5 საუკუნემდე, მათი პირველად შემუშავებიდან 3 500 წლის შემდეგ. მამ, შეგვიძლია თუ არა ეს ცივილიზაციის უწყვეტობად მივიჩნიოთ?

ზოგიერთმა შეიძლება ყურადღება გამახვილოს ძველ ეგვიპტურ რელიგიაზე, როგორც ხანგრძლივობის მაჩვენებელ ნიშანზე, მაგრამ არც ეს არ იყო სტატიკური კულტურული გამოხატულება. ის დროთა განმავლობაში შეიცვალა იმ ხალხთან ერთად, ვინც მის პრაქტიკას ეწეოდა, სანამ საბოლოოდ არ ჩანაცვლდა ქრისტიანობით ახ.წ. პირველ საუკუნეში.

### მესოპოტამია

მესოპოტამია, სამხრეთ-დასავლეთ აზიის რეგიონი, რომელიც მდინარეების, ტიგროსისა და ეფრატის, სისტემების ირგვლივ მდებარეობს, ცივილიზაციის აკვნად ითვლება. თავად სიტყვა მესოპოტამია მომდინარეობს ძველი ბერძნულიდან, რაც ნიშნავს „მინას მდინარეებს შორის“. ამ რეგიონში დაიბადა კაცობრიობის ადრეული ისტორიის ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, მათ შორის, ბორბლის გამოგონება, იალქნაირი ნავები, რუკები, დამწერლობა, მათემატიკა და სხვა.

ადამიანები რეგიონში დასახლდნენ პალეოლითის ეპოქაში და ისარგებლეს წყალდიდობის შედეგად წარმოქმნილი მდიდარი ნიადაგებით. დაახლოებით, 12 000 წლის წინ, იქ მცხოვრებმა ადამიანებმა დაიწყეს მინის დამუშავება, რასაც სოფლის მეურნეობის რევოლუციას უწოდებენ. შემდეგ, დაახლოებით, 5 000–6 000 წლის წინ, ადგილი ჰქონდა ურბანულ რევოლუციას, რომლის დროსაც დაიწყო უფრო დიდი ქალაქების ჩამოყალიბება. პირველი ქალაქი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 3200 წლით, იყო ურუქი, რომელიც, როგორც ითვლება, დააფუძნეს მუმერებმა, პირველი დამწერლობის შემქმნელებმა.

მესოპოტამიის ისტორია ვრცელი და კომპლექსურია, რადგან რეგიონს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მმართველი თუ დინასტია იკავებდა; მათ შორის იყო აქადის იმპერია, გუთიები, ურ-ნამუ, ბაბილონელები, ხეთები, ასურელები და სპარსეთის იმპერია. ძვ.წ. 332 წელს ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო რეგიონი და მისი სიკვდილის შემდეგ მესოპოტამია გახდა სელევკიდების იმპერიის ნაწილი.

მთლიანობაში, სამივე ცივილიზაციას საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვს, მაგრამ რთულია იმის დაზნადვლილებით თქმა, დროის ეს მონაკვეთი ერთი, უწყვეტი პერიოდი თუ ცვლილებებისა და სხვადასხვა კულტურის ისტორიას წარმოადგენს.





# ბავშვთან ხშირი ლაპარაკი ტვინის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს



აღმოჩნდა, რომ 6 თვის ჩვილებს რაც მეტს ელაპარაკებოდნენ, მით ნაკლები იყო მიელინინიზაცია. ეს შედეგებით მოზრდილ ბავშვებში პირიქით ხდებოდა.

ჯონ სპენსერს, კვლევაში ჩართულ კოგნიტიური ფსიქოლოგიის სპეციალისტს თუ დავუჯერებთ, ამ შეუსაბამობას ის ფაქტი შეიძლება განაპირობებდეს, რომ სხვადასხვა ასაკში ტვინი სხვადასხვა კუთხით ვითარდება.

აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჩვილთან საუბარმა მისი ტვინის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს. ნაშრომი გამოქვეყნდა „The Journal of Neuroscience“-ში.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბავშვებს, რომელთაც მეტს ესაუბრებოდნენ, ენის გადამამუშავებელ რეგიონებში მეტად ეფექტიანი ნეირონები ჰქონდათ. ტვინის სკანირებით აღნიშნულ რეგიონებში მიელინინი უფრო დიდი რაოდენობით შეინიშნეს. ეს გარსია, რომელიც ნეირონებს აკრავს გარსს და საშუალებას აძლევს, სიგნალები მეტად სწრაფად და ეფექტიანად გადასცეს.

დაზუსტებული არაა, რა პირდაპირი გავლენა აქვს მიელინინიზაციას ბავშვების ენობრივ უნარებზე, თუმცა, მკვლევრების აზრით, მას მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა უნდა შეეძლოს.

კვლევაში 140 ახალშობილზე დაკვირვება და ჩვილი მონაწილეობდა. სამი დღის განმავლობაში მათ ხმის ჩამწერი მონიშნულები ეკეთათ და ყოველდღიურად მოსმენილ აუდიომასალას იწერდნენ. შემდგომში ცდისპირთა ნახევარს ძილის დროს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ჩაუტარეს.

კვლევის ფარგლებში ტვინის განვითარებაზე საუბრის მოსმენის გავლენა გამოიკვთა, თუმცა ჯერჯერობით რთული სათქმელია, ზუსტად რა როლი აქვს მიელინინიზაციას დასწავლისა და სამომავლო კოგნიტიური განვითარების მხრივ.

მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ბავშვებში ლაპარაკის მოსმენა საუბრის დამუშავების, ლექსიკის, გრამატიკისა და ვერბალური აზროვნების კუთხით მნიშვნელოვნად ზემოქმედებს.

ამას გარდა, კვლევების თანახმად, 4-6 წლის ბავშვებს, რომელთაც უფროსები უფრო ხშირად ესაუბრებინან, ენასთან დაკავშირებულ რეგიონებში მიელინინიზაცია მეტი აქვთ. ახალი მიგნებებით დასტურდება, რომ ეს უფრო პატარა ასაკის ბავშვებშიც ანალოგიურად ხდება.

დამატებითი კვლევა საჭირო იმის დასაზუსტებლად, თუ რა გავლენა აქვს ამ სტრუქტურულ ცვლილებებს ენის დასწავლაზე, თუმცა კი, ერთი რამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ: ბავშვებს თქვენი საუბრიდან იმაზე მეტი შეიძლება ესმოდეოთ, ვიდრე წარმოგიდგინათ.

# ბავშვებში ADHD-ის სიმპტომების გამოსაკლენად პირტუალური რეალობის თამაზებს იყენებენ.

როგორც პრეს რელიზში ვკითხულობთ, Aalto University-ის მკვლევრებმა ვირტუალური რეალობის თამაზები ბავშვებში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის აშლილობის (ADHD) სიმპტომების გამოსაკლენად გამოიყენეს. ეს მეთოდი შესაძლოა ეფექტური იყოს ამ აშლილობის მკურნალობისა და აუტიზმის გამოვლენისთვისაც.

სტატისტიკის მიხედვით, ADHD ყურადღების საკმაოდ გავრცელებული დარღვევაა, რომელიც მხოლოდ აშშ-ში 3-დან 17 წლამდე ექვს მილიონ ადამიანზე მეტს აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ADHD-ის კვლევა ათწლეულებია გრძელდება, მის დასადგენად ისევ კითხვარები, გასაუბრება და სუბიექტური დაკვირვება გამოიყენება. ბუნებრივია, ასეთი დიაგნოზის სანდოობა მუდმივად საეჭვოა. სტანდარტული ქცევითი ტესტები ყოველდღიურ სიტუაციებში ბავშვის ქცევას სრულყოფილად ვერ აღწერს.

ვირტუალური რეალობის თამაზების მეთოდი ალტოსა და ჰელსინკის უნივერსიტეტის მკვლევრებმა შექმნეს VR თამაზში, სახელწოდებით EPEL. თამაზი რეალური, ყოველდღიური სიტუაციების სიმულაციით ეხმარება ფსიქოლოგებს, რომ ADHD-ის სიმპტომები შეამჩნიონ.

ამავე კვლევის ფარგლებში, მეცნიერები VR თამაზში ჩართული ბავშვის თვალის მოძრაობას დააკვირდნენ. ამისათვის EPEL-სთან ერთად მეორე თამაზი, Shot the Target გამოიყენეს, რომელიც მოთამაშემ გარემოში განლაგებულ ნივთს

შეხედვით უნდა ესროლოს. კვლევაში 73 ბავშვი მონაწილეობდა, რომელთაგან 37-ს ADHD უკვე დადასტურებული ჰქონდა, ხოლო 36 საკონტროლო ჯგუფში იყვნენ.

ჩვენ დავაკვირდით ბავშვების თვალის მოძრაობას, როცა ისინი თამაზში განსხვავებულ დავალებებს ასრულებდნენ. ეს ADHD-ის სიმპტომების დასადგენად ეფექტური გზა აღმოჩნდა. აშლილობის მქონე ბავშვები განსხვავებულ ობიექტებზე მზერას უფრო დიდი ხნით აჩერებენ და შემდეგ სწრაფად და ხშირად ამოძრავებენ მას სხვადასხვა მიმართულებით. ეს მხედველობის სისტემის განვითარების შენელებასა და ინფორმაციის გადამამუშავების დაბალ ხარისხზე მიუთითებს, - განაცხადა ალტოს უნივერსიტეტის მკვლევარმა ლია მერზონმა.

მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ბავშვებს ის სტანდარტული ნეიროფსიქოლოგიურ ტესტებზე მეტად აინტერესებთ. თამაზი ბავშვებს საინტერესო და მარტივ დავალებებს სთავაზობს: კბილის გახეხვას, ბანანის ჭამას და ა.შ. მოთამაშემ ეს დავალებები უნდა შესასრულოს, მიუხედავად იმისა, რომ გარემოს სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად ჩართული ტელევიზორი, მისი ყურადღების გაფანტვას ცდილობს.

მკვლევრები იმედოვნებენ, რომ VR თამაზებს არამხოლოდ ADHD-ის დიაგნოსტიკისთვის, არამედ მის სამკურნალოდ, რეაბილიტაციისთვისაც გამოიყენებენ.

## გამოსათხოვარი

### კლარა ოზაშვილი



კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი გამოაკლდა დედოფლისწყაროს ინტელიგენციას. კლარა ოზაშვილი 1930 წლის 14 იანვარს დაიბადა. პროფესიით აგრონომი იყო, 1955 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ადგილას ჯერ აგროეკონომისტად, მოგვიანებით კი უფროს ლაბორანტად, 1965 წლიდან გაზეთ „შირაქის“ კორესპონდენტია. მუშაობდა ნიუ-იორკის რადიოგადაცემების ხელმძღვანელის პოზიციაზე. 40 წელზე მეტი იმოღვაწევა მან გაზეთში და ამ ხნის განმავლობაში იყო პასუხისმგებელიანი მუშაკი, გაზეთის ტექნიკური გულშემმატკივარი, რომელიც გუნდთან ერთად ყოველთვის იდგა გაზეთის აწმყოსა და მომავლის სადარაჯოზე. საზოგადოებისთვის მის სიტყვას ძალა ჰქონდა, მას პატივს სცემდნენ და უყვარდათ. სწორედ ამიტომ, 2015 წელს ის დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ეს ოფიციალური ცნობებია მისი ბიოგრაფიიდან. ადამიანურ ურთიერთობებში კი „კლარა სტეპანოვა“, როგორც მას უწოდებდნენ, ყველას მამიდა იყო. საოცრად დიდი გულის მქონე ქალბატონი. ყველაზე მზრუნველი, რჩევისა და გზის მიმცემი. როგორც ამბობენ, ბევრ ადამიანზე ჰქონდა დიდი ამაგი, განსაკუთრებით მათზე, ვისაც უჭირდა, ხელის ნაშველება, სიტბო და ნუგეში სჭირდებოდა. ბევრზე იზრუნა, გზაზე დააყენა. მისი ამაგისა და დატოვებული მადლის დამსახურებაა მისი მთამომავლობა - ორი საუკეთესო შვილი, ექვსი შვილიშვილი და შვილთაშვილები.

დიდბუნებოვანი ადამიანის ყოველთვის სჯეროდა სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების, ამიტომაც მისგან გულნატკენი არავინ გვინახავს. მისი საყვარელი ფრაზაც ხომ ასეთივე იყო, რომელიც ხანშიშესულს საფიქრო ფრაზად ექცა - „საყვარელო“. უყვარდა ცხოვრება და ცდილობდა, დადებითი მუხტი და განწყობა ყველგან შეეტანა. ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, მარად ახალგაზრდული სულით გამოირჩეოდა და ბევრ ახალგაზრდასაც სჯობდა!

გემშივდობებით, ქალბატონო კლარა, მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი მინა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს კეთილ სულს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები, მწუხარებით იუწყებიან დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის

### კლარა ოზაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მნიგნობართა ასოციაცია მწუხარებას გამოთქვამს, ამავე ასოციაციის წევრის, გაზეთ „შირაქის“ ყოფილი თანამშრომლის, სიკეთით სავსე პიროვნების

### კლარა ოზაშვილის

გარდაცვალების გამო. ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს ოჯახსა და გაზეთ „შირაქის“ რედაქციას.

## სოციალურად დაუცველთა პროგრამა მუშაობს

სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა უკვე ერთ წელზე მეტია, რაც მოქმედებს. დასაქმების პროგრამით სარგებლობენ 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული შშმ სტატუსი ან არ აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები.



სამთაყვარო

სოციალურად დაუცველ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ აიმაღლონ კვალიფიკაცია, შეიძინონ გარკვეული უნარ-ჩვევები, რაც მათ სამუშაო ბაზარზე ინტეგრაციაში გამოადგებათ.

საქართველოში სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამა 2022 წლის მარტში ამოქმედდა.

პროგრამის ფარგლებში საუბარია საზოგადოებრივ სამუშაოებზე. საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილებზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუშაობა დასაქმების კამპანიას და მუნიციპალიტეტის მასშტაბით 280



ზემი ქალი

სოციალურად დაუცველი დასაქმდა. მათ ხელშეკრულება კომუნალურ სამსახურთან აქვთ გაფორმებული. ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის 14-ივე სოფლის დასუფთავებაში ისინი აქტიურად მონაწილეობენ.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 600 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი პირია, რომელთაგან 200 ათასზე მეტი შრომისუნარიანია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის ინიციატივით, ის ბენეფიციარები, რომლებიც პროგრამაში მოისურვებენ მონაწილეობას, სოციალური დახმარებისა და ანაზღაურების გარდა, სახელმწიფოსგან ყოველთვიურად დამატებით 300 ლარს მიიღებენ. ასევე ოთხი წლის განმავლობაში ისინი შეინარჩუნებენ ყველა იმ ბენეფიტს, რომელიც მანამდე ჰქონდათ. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის მონაცემებით, სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას 648.176 პირი (175.716 ოჯახი) იღებს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 17,3%-ს შეადგენს.



